განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ინოვაციების სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:
ლელა ჯაში - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრ(ებ)ი:
გიორგი მომცელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ინოვაციების სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	416372696

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. რუსთავი
ფაქტობრივი მისამართი	მე-7 მიკრო რაიონი
საფოსტო ინდექსი	3700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://schoolofinnovations.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Schoolofinovations@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 9 25 0000936360, 31/07/2025 - ,,შპს ინოვაციების სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	07 და 08 აგვისტო, 2025წ.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 9 25 0000936360, 31/07/2025 - ,,შპს ინოვაციების სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ საფუძველზე, განხორციელდა შპს ინოვაციების სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) გეგმური მონიტორინგი, რომელიც გულისხმობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დირექტორის მოადგილესთან ხარისხის მართვის მიმართულებით, პედაგოგებთან, ფსიქოლოგთან, სამედიცინო პერსონალთან, ბიბლიოთეკართან, ახალგაზრდობის მუშაკთან და სხვა თანამშრომლებთან ერთად იმსჯელეს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე. ამასთან, საფუძვლიანად იქნა შესწავლილი შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის, სკოლის მიერ დადგენილი რეგულაციები და სხვა შიდა ადმინისტრაციული მასალები.

ექსპერტთა ჯგუფმა უზრუნველყო მიღებული მონაცემების სინთეზი და გამოკვეთა მიგნებები, რომლებიც ასახავს როგორც სკოლაში არსებული ძლიერი მხარეების, ისე, განვითარების საჭიროებების კომპლექსურ ანალიზს.

ასევე, განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება, რაც მოიცავდა როგორც სასწავლო, ისე დამატებითი სერვისებისათვის განკუთვნილი სივრცეების შეფასებას.

გარდა ამისა, განხორციელდა გასაუბრება მშობლებთან და მოსწავლეებთან (მშობლების თანხმობის საფუძველზე) და მიღებული ინფორმაცია ინტეგრირდა დასკვნაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
365	252

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს ინოვაციების სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს ვირტუალური რეალობის (VR) სათვალეებს, რომელიც მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობისა და მოტივაციის გაძლიერებისათვის. აღნიშნული მოწყობილობა განსაკუთრებით ეფექტიანია საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას, რადგან იგი საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა ნათლად აღიქვან რთული ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური პროცესები იმიტირებული, მაგრამ ვიზუალურად რეალისტური გარემოს საშუალებით.

პარალელურად, 3D პრინტერის გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების განვითარებას, მათ შორის, კონსტრუქციული აზროვნების, დიზაინისა და ინჟინერული პრობლემების გადაჭრის კომპეტენციების გაღრმავებას.

სკოლის შესასვლელში განთავსებულია სპეციალური მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია პლასტმასის ბოთლების შეგროვებისთვის. მოსწავლეები აღნიშნულ მოწყობილობაში ათავსებენ გამოყენებულ პლასტმასის ბოთლებს, რის საფუძველზეც მათ უგროვდებათ ქულები, რომლებიც შემდგომში იცვლება სხვადასხვა ნივთებზე. მოწყობილობის ფუნქციონირება ემყარება გარემოსდაცვითი განათლებისა და პასუხისმგებლობის პრინციპებს. იგი ხელს უწყობს მოსწავლეებში ეკოლოგიური ცნობიერების განვითარებას, რესურსების გონივრულად გამოყენებისა და ნარჩენების შემცირების მნიშვნელობის გააზრებას. ამგვარი პრაქტიკა არა მხოლოდ ამაღლებს მათ ცნობიერებას გარემოს დაცვის საკითხებზე, არამედ აძლიერებს სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობას და ხელს უწყობს მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრაციას სასკოლო კულტურაში.

სკოლას ჰყავს ახალგაზრდობის მუშაკი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა პიროვნული, სოციალური და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. მისი ძირითადი ფუნქციები მოიცავს არაფორმალური განათლების და ახალგაზრდებში მოხალისეობრივი კულტურის განვითარებას, მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე დაფუძნებული აქტივობების ორგანიზებას, მათ ჩართვას სხვადასხვა კონკურსებსა და ჩემპიონატებში.

სკოლისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრაცია სწავლების პროცესში, რაც მოსწავლეებს აკავშირებს გლობალურ სამყაროსთან - თანამშრომლობა საერთაშორისო ახალგაზრდულ და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან უზრუნველყოფს როგორც მოსწავლეების, ისე, მასწავლებლების ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, ბანაკებში, ტრენინგებსა და გარემოსდაცვით პროექტებში.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტების მიერ შედგენილი დასკვნის პროექტის საფუძველზე, შპს ინოვაციების სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც დეტალურად ასახა ინფორმაცია იმ ინდიკატორების შესახებ, რომლებიც არ შეესაბამებოდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ყველა ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ამიტომ, ექსპერტებმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და/ან არგუმენტები მიიღეს მტკიცებულებად, რაც საბოლოოდ, აისახა დასკვნაშიც.

აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები 3.1.2.4., 3.4.1.2., 3.5.1.1., 3.5.1.2., 4.1.2.1., და 4.2.4.3 რომლებიც ექსპერტების მხრიდან შეფასებული იყო უარყოფითად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეფასდა სრული შესაბამისობით.

მეტწილი შესაბამისობით შეფასდა - 1.1.1.3., 1.1.1.4., 1.2.1.1., 1.2.2.2., 3.1.2.3., 3.4.1.1., 3.6.2.2., 3.6.2.3 ინდიკატორები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.1.1.3	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზირება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში - არაუგვიანეს 2025 წლის 15 სექტემბრისა.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N1.1.1.4	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში - არაუგვიანეს 2025 წლის 15 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N1.2.1.1	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს დაინტერესებული პირების (მშობელ მოსწავლე) პოზიცია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში - არაუგვიანეს 2025 წლის 15 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეებ უკუკავშირის გათვალისწინებით*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს მეთოდოლოგიის შესაბამისად, 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 07 აგვისტოსი.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვი*	*სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობის დაცვით გარკვეული საგნების პედაგოგების დასაქმება შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში - არაუგვიანეს 2025წლის 15 სექტემბრისა (იხ. 3.1.2.3. ინდიკატორის აღწერილობა).*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის წესის და პირობების შეთანხმება შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში - არაუგვიანეს 2026 წლის 1 აგვისტოსი.*

	მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო დ სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.6.2.2	*სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენება შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში - არაუგვიანეს 2025 წლის 30 სექტემბრისა.*
ინდიკატორი N3.6.2.3	*სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს პატფორმაზე eschool.emis.ge პროფილის სრულყოფილად შევსება შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში - არაუგვიანეს 2025 წლის 30 სექტემბრისა.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო დ სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)*	*სკოლას მიეცეს რჩევა, გონივრულ ვადებში უზრუნველყოს დოკუმენტში - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N431 - არსებული ხარვეზების გამოსწორება;*

ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*დაწესებულებას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდა, ასევე, სამკითხველო სივრცის მოწყობა.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N4.2.1.6	*მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას*	***მშობლებისთვის განკუთვნილ კითხვარში*** *მიზანშეწონილია, კითხვების ფორმულირება ფოკუსირდეს არა უშუალოდ მასწავლებლის შეფასებაზე, არამედ სწავლების პროცესის კონკრეტულ ასპექტებზე (მაგ., კომუნიკაციის ხარისხი, მოსწავლეზე ორიენტირებულობა, თანამშრომლობა მშობლებთან), რათა მიღებული მონაცემები იყოს უფრო ობიექტური და სისტემური ანალიზისთვის გამოსადეგი. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს სანდოობას, იცავს პედაგოგების პროფესიულ რეპუტაციას და ამავე დროს, იძლევა საჭირო ინფორმაციას სკოლის მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად.* ***მოსწავლეებისათვის განკუთვნილ კითხვარშიც*** *მიზანშეწონილია, მოსწავლეები აფასებდნენ არა უშუალოდ მასწავლებელს, არამედ სწავლების პროცესის ელემენტებს: მაგალითად, ახსნის სიზუსტეს, სწავლების ტემპს, უკუკავშირის ხარისხს, კლასში უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნას. ამგვარი მეთოდი უზრუნველყოფს სანდო მონაცემების შეგროვებას, რომლებიც სასარგებლოა პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის და ამცირებს სუბიექტური მიკერძოების ზეგავლენას.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

წინა ვიზიტის ფარგლებში (წარმოების ტიპი: მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 7 24 0001293920, 08/10/2024წ.) გაცემულ იქნა 1 (ერთი) რეკომენდაცია, რომლის საფუძველზე, დაწესებულებამ მიმდინარე წარმოების ფარგლებში უზრუნველყო შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N5006485624, 28.10.2024წ.);

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

   შპს ინოვაციების სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის მისია ყურადღებას ამახვილებს ინოვაციური მეთოდებით მოსწავლეთა უნარ-ჩვევების განვითარებაზე და მათ მომზადებას გლობალურ გარემოში ადაპტაციისთვის. ხედვა კი, მიზნად ისახავს სწავლების ხარისხისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რაც ზრდის სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და მდგრადობას. ამგვარად, სკოლა ქმნის საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაღალაკადემიურ და სოციალურ განვითარებას ეროვნულ კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ფილოსოფიის ორი, განსხვავებული ვერსია ჰქონდა წარმოდგენილი, მათ შორის, ერთი ვებ. გვერდზე. თუმცა, ვიზიტის მიმდინარეობისას

შპს ინოვაციების სკოლამ უზრუნველყო აღნიშნული უზუსტობის აღმოფხვრა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

შპს ინოვაციების სკოლის მისია და ხედვა განსაზღვრავს დაწესებულებას, როგორც უსაფრთხო და მხარდაჭერაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ გარემოს, რომელიც მოსწავლეთა პიროვნული განვითარებით და ინოვაციური სასწავლო მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოფს მათ მომზადებას სწრაფად ცვალებად სამყაროში. აღნიშნული კონცეფცია სრულად პასუხობს საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სკოლის უსაფრთხო, ინკლუზიურ და განვითარებაზე ორიენტირებულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

როგორც მიღებული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, შპს ინოვაციების სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვისა და ღირებულებების) საბოლოო ვერსიის შემუშავება განხორციელდა სკოლის პირველად ავტორიზაციამდე. სწორედ მაშინ შეიქნა სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და დაკომპლექტდა **სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი (დირექტორის ბრძანება N1/2, 31.05.2023წ.), რომლის შემადგენლობაში იყვნენ მხოლოდ სკოლის თანამშრომლები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მიერ შედგენილ ოქმში N2, 26.08.2023წ. მითითებულია, რომ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა (მოსწავლე, მშობელი) მონაწილეობა მიიღო სკოლის ფილოსოფიის შედგენაში - ზემოაღნიშნული არ დასტურდება მტკიცებულებებით.** სკოლის წარმომადგენლებმაც საუბრისას აღნიშნეს, რომ ვინაიდან პირველად ავტორიზაციამდე განხორციელდა სკოლის ფილოსოფიის შედგენა, მასში ვერ იქნებოდნენ ჩართულები მოსწავლეები და მშობლები, აღნიშნული დადასტურდა მშობლებთან ინტერვიუს დროსაც. შედეგად, სკოლის მისია, ხედვა და

ღირებულებები არ არის შემუშავებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მიმდინარე წარმოების ფარგლებშიც, სკოლას არ განუხორციელებია ფილოსოფიის რევიზირება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. **<u>დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.3. ინდიკატორთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებად მიუთითა: სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მეთოდოლოგიის მიხედვთ სკოლის ფილოსოფიის რევიზირება 2025 წლის 15 სექტემბრამდე. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

1.1.1.3 ინდიკატორის აღწერით ნაწილში მითითებულია, რომ არ დადასტურდა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. ასევე, **არ იკვეთება, რომ სკოლის ფილოსოფია გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოების მიერ.** მართალია, დაწესებულებამ წარმოადგინა იმ ვებ. გვერდის დამადასტურებელი ანაბეჭდები (ე.წ. ,,სქრინები"), რომელიც ვიზიტის პერიოდში აღარ ფუნქციონირებდა, მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარების შესახებ. თუმცა, წარმოდგენილი ანაბეჭდებიდან არ ჩანს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი და შესაბამისად, აღნიშნული ექსპერტებისთვის არ წარმოადგენს დამაჯერებელ მტკიცებულებას. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.4. ინდიკატორთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებად მიუთითა: სკოლის ფილოსოფიის გაზიარება და მიღებული უკუკავშირს გაითვალისწინებს რევიზირებისას 2025 წლის 15 სექტემბრამდე. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის ვებ. გვერდზე დაწესებულებას ჰქონდა წარმოდგენილი სკოლის არსებული მისიისგან განსხვავებულად ფორმულირებული ტექსტი. ამავდროულად, საერთოდ არ იყო განთავსებული სკოლის ხედვა და ღირებულებები. შესაბამისად, არ იყო ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. ვიზიტის მიმდინარეობისას

დაწესებულებამ უზრუნველყო სკოლის ვებ. გვრდზე სკოლის არსებული ფილოსოფიის სრულყოფილად წარმოდგენა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**
   დაწესებულების სახელწოდება - შპს ინოვაციების სკოლა - შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ინოვაციების სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკლოლის დირექტორის ბრძანება N1/2, 31.05.2023წ.;
- სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკლოლის დირექტორის ბრძანება N1/2, 31.05.2023წ.;
- სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის სამუშაო სხდომის N2, 26.08.2023წ.
- სკოლის ვებ.გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

   შპს ინოვაციების სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული ჰქონდა დოკუმენტი სახელწოდებით, შპს ინოვაციების სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-17, 01.09.2023წ.). **მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი შეიცავდა ზოგად ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების ჩართულობის შესახებ, სკოლა თავის საქმიანობაში არ ითვალისწინებდა დაინტერესებული პირების (მშობელი, მოსწავლე) პოზიციას.** ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი რეგულაცია - შეტანილ იქნა ცვლილება პირველად ვერსიაში და შპს ინოვაციების სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცდა განახლებული სახით (სკოლის დირექტორის 2025 წლის 07 აგვისტოს 2/11 ბრძანება), გაიწერა დეტალური რეგულაციები. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.1. ინდიკატორთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებად მიუთითა: საზოგადოების ჩართულობის განხორციელება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში 2025 წლის 15 სექტემბრამდე. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა, რომელიც დამტკიცდა სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/19, 01.09.2023წ. - შპს „ინოვაციების სკოლის“ ექვსწლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადებისა და 2023-2030 სასწავლო წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“. ვიზიტის მიმდინარეობისას, სკოლამ გამოასწორა ტექნიკური ხარვეზი სტრატეგიული გეგმის ფორმატში (სკოლის მიერ განსაზღვრული ამოცანების განხორციელების ვადები წლების მიხედვით იდენტური იყო) და წარმოადგინა განახლებული სახით. სტრატეგიული გეგმის მიზნებსა და სკოლის ფილოსოფიას შორის იკვეთება მკაფიო კორელაცია. მაგალითად, სტრატეგიული მიზანი - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება - შემდეგი ამოცანების განხორციელებას საფუძველზე მიიღწევა: ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. შპს ინოვაციების სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025 წლები) დამტკიცდა 2024 წლის 07 სექტემბერს, სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/13 - შპს „ინოვაციების სკოლის“ 2024-2025 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა. როგორც გაირკვა, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ასევე, გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და დარწმუნდნენ, რომ გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, სკოლის სტრატეგიული მიზნები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

   სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში (2024-2025 წლები) ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „ინოვაციების სკოლის“ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება N2-17, 01.09.2023წ.;
- შპს ინოვაციების სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 07 აგვისტოს 2/11 ბრძანება;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა;
- შპს ინოვაციების სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025 წლები) დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2024 წლის 07 სექტემბერის ბრძანებით N2/13;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   როგორც უკვე აღინიშნა (იხ. 1.2.1.1. ინდიკატორის აღწერილობა), შპს ინოვაციების სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცდა განახლებული სახით ვიზიტის პერიოდში (სკოლის დირექტორის 2025 წლის 07 აგვისტოს N2/11 ბრძანება). ზემოაღნიშნული დოკუმენტის მე-10 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმებს. გარდა ამისა, მეთოდოლოგიას დანართის სახით აქვს წარმოდგენილი ნიმუში ცხრილის ფორმით, რომელიც გამოიყენება შეფასების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   ვინაიდან, შპს ინოვაციების სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცდა განახლებული სახით ვიზიტის პერიოდში (სკოლის დირექტორის 2025 წლის 07 აგვისტოს 2/11 ბრძანება), ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეაფასონ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები აღნიშნული რეგულაციით. შესაბამისად, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს დოკუმენტით, შპს „ინოვაციების სკოლის“ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (სკოლის დირექტორის ბრძანება N2-17, 01.09.2023წ.), როგორც **სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის ოქმიდან (N1, 01.07.2025წ.) ირკვევა, დღის წესრიგის ერთ-ერთი საკითხი იყო: 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულების მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიშიც. თუმცა, მასში პროცესები 2023 წელს შედგენილი რეგულაციის შესაბამისად არ იყო აღწერილი. კერძოდ, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში უნდა ასახულიყო ინფორმაცია, რომელი სტრატეგიული ინიციატივა უნდა გადამოწმდეს მომდევნო წლისთვის, რამდენად შეესაბამება**

გეგმის მიზნები და პრიორიტეტები არსებულ მოთხოვნებს, რამდენად უზრუნველყოფს გეგმა დასახული მიზნის მიღწევას, რა ცვლილებები გამოიწვია მისმა განხორციელებამ და ა.შ. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.2.2. ინდიკატორთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებად მიუთითა: სამოქმედო გეგმის მონიტორინგი 2025-2026 სასწავლო წელს - ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, 2026 წლის 07 აგვისტომდე. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები საჯარო გახდა მხოლოდ ექსპერტების ვიზიტის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ მანამდე, დაწესებულებას არ ჰქონდა განთავსებული სკოლის ვებ. გვერდზე სამოქმედი გეგმის განხორციელების ანგარიში. სტრატეგიული გეგმის განხორციელების ანგარიშის საჯაროობა არ იქნა განხილული ექსპერტების მიერ, ვინაიდან, შვიდწლიანი ციკლის მხოლოდ ორი წელი იყო გასული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

როგორც უკვე აღინიშნა (1.2.2.3 ინდიკატორის აღწერილობა), სტრატეგიული გეგმის განხორციელების ანგარიში სკოლას არ ჰქონდა შედგენილი, ვინაიდან, შვიდწლიანი ციკლის მხოლოდ ორი წელი იყო გასული. რაც შეეხება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელიც განხილულ იქნა შპს ინოვაციების სკოლის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომაზე (N1, 01,07.2025 წ.), ირკვევა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქტივობების თითქმის სრული უმრავლესობა შესრულდა. ექსპერტებმა განიხილეს ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის ანგარიშიც, რომელიც მოიცავდა სკოლის განვითარებისთვის საჭირო ინფორმაციას. კერძოდ, ვინაიდან, სკოლის განვითარების გეგმა წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო დაწესებულების გაუმჯობესებასა და მისი ეფექტიანობის

გაზრდას, გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიშში მითითებულია ის აქტივობები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას. მაგალითად: წარმოდგენილი ანგარიშის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის მიმართულებით სუსტი მხარეები, რომელთა გაუმჯობესება დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად განისაზღვრა, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულება გეგმავს პედაგოგებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ინოვაციების სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 07 აგვისტოს 2/11 ბრძანება;
- სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის ოქმი (N1, 01,07.2025 წ.);
- შეეხება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   შპს ინოვაციების სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის დებულებაში. სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: პარტნიორთა კრება (სკოლის მმართვის უმაღლესი ორგანო), დირექტორი, დირექტორის სამი მოადგილე, საქმის მწარმოებელი, იურისტი, ბიბლიოთეკარი, ექიმი/ექთანი, ფსიქოლოგი, IT მენეჯერი, სტრატეგიული განვითარებისა და კომუნიკაციების მენეჯერი, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, დარაჯი, დამლაგებელი, ახალგაზრდული მუშაკი, მასწავლებელი, წრის/კლუბის მასწავლებელი, ოთხი საგნობრივი კათედრა. სკოლას შემუშვებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს, სკოლის დებულება. რომელშიც აღწერილია თითოეული პოზიციისა თუ სტრუქტურული ერთეულების მოვალეობები, ასევე დამტკიცებული აქვთ პედაგოგიური საბჭოს, კათედრის, ბიბლიოთეკის დებულებები. თითოეულ დასაქმებულთან დადებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია მათი ფუნქციები და მოვალეობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია, ფორმალიზებული მიდგომებითა და სტანდარტული პროცედურებით უზრუნველყოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა, რათა ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით სკოლაში შექმნილი იქნას სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- სკოლის დებულება
- სკოლის სტრუქტურა
- მასწავლებლების ხელშეკრულებები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები
- საშტატო ნუსხა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტში, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით გაწერილია სხვადასხვა მნიშვნელოვანი პუნქტი: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანები; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება; ადამიანური რესურსების მართვა; მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა; პროფესიული განვითარება; საკვალიფიკაციო მოთხოვნები; კონკურსის გამოცხადება; კომისიის შექნის წესი და საქმიანობა; კონკრუსის ეტაპები, კონკურსის ჩაშლის / შეწყვეტის საფუძვლები; პესონალიზაციის კვალიფიკაცია, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია; შესრულებული სამუშაოს შეფასება და ა.შ. ექსპერტთა სკოლაში ვიზიტის დროს დოკუმენტაციის შესწავლის და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, კერძოდ: სკოლის ადმინისტრაცია ხელს უწყობს ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით თემატური ტრენინგების ორგანიზებას; ვაკანსიის არსებობის დროს დირექტორის ბრძანებით შექმნილია საკონკურსო კომისია, კანონის შესაბამისად გამოცხადებულია ვაკანსია, ჩატარებულია კონკურსი და შესაბამისად შერჩეულია კადრები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**.

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; სკოლაში ექსპერტების ვიზიტის დროს სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სკოლა ადამიანური რესურსის მოძიებას ანხორციელებს მაშინ, როდესაც საჭიროა პედაგოგის ჩანაცვლება ან კონკრეტულ პოზიციაზე ადამიანური რესურსის მოძიება. ამისათვის, სკოლა აცხადებს კონკურსს, პერსონალის შერჩევამდე სკოლა აღწერს სამუშაო პროცესს, ამის შემდეგ, ქმნის ვაკანტური პოზიციის განაცხადს, რომლის საფუძველზეც ხდება პერსონალის შერჩევა. ინტერვენციის საფუძველზე კი, ახალი კადრის შემოსვლამდე ან

თანამშრომლის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში, სკოლა ახდენს შენაცვლებას შიდა პერსონალის გამოყენების საშუალებით კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტში გაწერილია სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი, რომელიც შემუშავებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებსა და დირექციის წარმომადგენლებს აქვთ შესაბამისი ცნობები. **ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ დადგინდა, რომ სკოლის 8 მოწვეულ მასწავლებელს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით აქვს დადგენილ საათობრივ რაოდენობაზე - 9 საათზე მეტი დატვირთვა, კერძოდ: სამოქალაქო განათლების პედაგოგი რ.ჭ - 15 სთ; დაწყებითი კლასების პედაგოგი გ.ნ. -26 სთ; ფიზიკური აღზრდის პედაგოგი ლ.კ. 15 სთ; მუსიკის პედაგოგი ი.ა. 10 სთ; დაწყებითი კლასების პედაგოგი ს.ფ. -23 სთ; მათემატიკის პედაგოგი გ.ა. – 15 სთ; კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგი თ.ე. – 11 სთ; ინგლისური ენის პედაგოგი ვ.მ. 10 სთ. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3. ინდიკატორთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებად მიუთითა: კონკურსის წესით, გარკვეულ პოზიციებზე მასწავლებლების დასაქმება დაწესებულებაში 2025 წლის 15 სექტემბრამდე. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების

შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას. რაც შეეხება სხვა პერსონალის კვალიფიკაციას, სკოლას ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს პერსონალის კვალიფიაცია, სადაც აღნიშნულია, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა ექიმი. ხელშეკრულებით აყვანილი ჰყადა**

ექთანი. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება დაწესებულებაში. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4. ინდიკატორთან დაკავშირებით. დაწესებულებამ უზრუნველყო კონკურსის წესით ექიმის დასაქმება და მტკიცებულებად წარმოადგინა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვა თანამონაწილეობრივია. მასში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება (დირექცია, ადმინისტრაცია და თანამშრომლები). ორგანიზაციული კულტურის განვითარებას ხელს უწყობს სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტი. ასევე პედაგოგიური საბჭოს მუშაობა და სხვა. ასევე სხვადასხვა პროექტით, გუნდებით ჩანს, რომ წახალისებულია სასკოლო კულტურა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შენაგანაწესის მიხედვით, დაწესებულებას დადგენილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. ასევე სკოლას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის

დოკუმენტში გაწერილია აქვს თანამშრომლეთა მოტივაციის ამაღლების მექანიზმები, რაც გულისხმობს თანამშრომელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები
- ვაკანსიის გამოცხადების ბრძანებები
- ვაკანსიის ოქმები
- პერსონალის პირადი საქმეები;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
- საშტატო განრიგი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- კათედრის ოქმები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

   სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში დანერგილია შიდა და გარე შეფასება. შიდა შეფასება ეფუძნება ციკლს - დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე; ხოლო გარე შეფასება კი გულისხმობს სკოლის ავტორიზაციას. გარდა ამისა, პერსონალის პერიოდული შეფასებას და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა გაწერილია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლაში ვიზიტის დროს, ექსპერტების მხრიდან დოკუმენტაციის შესწავლის და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა ის გარემოება, რომ სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც წელიწადში სამჯერ ანხორციელებს პედაგოგებთან საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, რის შემდეგაც ჯგუფის ხელმძღვანელი და წევრები კონკრეტულ პედაგოგს აძლევენ შესაბამის უკუკავშირს. ასევე, სკოლის ადმინისტრაცია სასწავლო წლის ბოლოს ანონიმურად აფასებინებს მასწავლებლებს მშობლებს და მოსწავლეებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აირეკლება პერსონალის განვითარების გეგმა. სკოლა ასევე ანხორციელებს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობებს, ტრენინგებს. პასუხისმგებელ პირებთან ექსპერტების გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ სკოლის დირექცია აორგანიზებს თემატურ ტრენინგებს, ასევე მიმდინარე სასწავლო წელს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სკოლის ორი მასწავლებელი სკოლის დაფინანსებით მიავლინა საზღვარგარეთ სემინარზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის პერსონალის გადამზადება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდას და სკოლის განვითარებას, ასევე, მათი სტატუსის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულება მასწავლებლებს აწვდის დროულ ინფორმაციას ხელმისაწვდომი ტრენინგების შესახებ. მასწავლებლებს აქვთ შესაბამის ტრენინგზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტი ცნობის ან სერთიფიკატის სახით. ამასთანავე, 2025 -2026 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში კათედრებზე შეიქმნება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გეგმა გრაფიკი. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მასწავლებელბი პერმანენტულად გადიან ტრენინგებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის პუნქტი - ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია. სკოლის დირექციასთან გასაუბრების დროს მათი მხრიდან ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ სასკოლო კულტურიდან გამომდინარე, თითოეული თანამშრომელი ინტეგრირებულია სამუშაო გარემოსთან. მათთვის ხელმისაწვდომია ყველა საჭირო რესურსი. სუფევს კეთილგანწყობილი გარემო. ახალი

თანამშრომლის აყვანის დროს, მას მიმაგრებული ჰყავს კათედრის ხელმძღვანელი რათა სწრაფად და ეფექტურად მოხდეს თანამშრომლის ინტეგრაცია. .**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესში და ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომლების წახალისების ფორმები, ამ დოკუმენტის შესაბამისად სკოლაში პერმანენტულად ხორციელდება მასწავლებლების საქმიანობის შეფასება და მათი წახალისება როგორც ფულადი პრემიით, ასევე მადლობების გამოცხადებით. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით (მაგ: ხარისხის მართვის ჯგუფის ანგარიში, მასწავლებლების შეფასების შედეგები, არაფორმალურ განათლებაში და სასკოლო პროექტებში ჩართული პედაგოგები) გამოვლენილ პედაგოგებს ერიცხებათ ფულადი პრემიები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი
- ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის დოკუმენტი.
- ბრძანება ფულადი ჯილდოს შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

   დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებულია დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და განვითარების სისტემაზე. დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო პროცესის ხარისხსის უზრუნველყოფის და გაუმჯობესების მიზნით სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების შეფასებას და აღნიშნულის საფუძველზე, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ხარისხის მართვის ჯგუფის კოორდინატორთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლა იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის დემინგის ციკლს, სადაც ჩართულნი არიან საგნობრივი

კათედრების წარმომადგენლები და სკოლის დირექცია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ასევე, ინოვაციების სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დებულება, რომელშიც აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა; სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესებია ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კ) კარიერული განვითარება; **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მიღებული შედეგის გასაჩივრების ეტაპებსაც. სასკოლო

საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ის გარემოება, რომ სკოლის არსებობის პერიოდში არც ერთი საჩივარი არ დაფიქსირებულა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები“. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მხრიდან ჩატარებული გასაუბრებებიდან, რომელსაც ესწრებოდნენ სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია, მოსწავლეები და მშობლები (გასაუბრება ყველა ჯგუფთან განხორციელდა ცალ-ცალკე), დადგინდა, რომ მშობლებიც და მოსწავლეებიც იცნობენ თავიანთ უფლებებს და აქვთ ინფორმაცია უფლებების დაცვის მექანიზმებზე. ასევე აღნიშნეს, რომ სკოლის არსებობის პერიოდში არც ერთი უფლებების დარღვევის ფაქტი არ დაფიქსირებულა სკოლის მხრიდან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- სკოლის წესდება;
- სკოლის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- კათედრის და პედსაბჭოს ოქმები;

• განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;
• პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები;
• შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

   სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოლოგია, დოკუმენტში გაწერილია საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები; სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სწავლა-სწავლების პროცესში. უკუკავშირის მიზნით, მათ ეგზავნებათ სასკოლო სასწავლო გეგმა, დებულებები და სხვა. საჭიროების შემთხვევაში, საკითხები განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, შეხვედრებზე, სადამრიგებლო საათზე. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მოსწავლეები და მათი მშობლები იღებენ ინფორმაციას სასწავლო შედეგებისა თუ პრობლემების შესახებ. სკოლას, მასწავლებლებს და დამრიგებლებს აქვთ სოციალურ ქსელში შექმნილი სამიზნე ჯგუფები, რომლებიც ასევე ხელს უწყობს სწრაფ და ეფექტურ უკუკავშირს. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ პასუხისმგებელ პირებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერიუების შედეგად დადგინდა , რომ სკოლის მხრიდან მუდმივად იღებენ მშობლები ინფორმაციას სასკოლო ცხოვრების შესახებ, მათ და მათ შვილებს აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები. მოსწავლეთა მხრიდან აღინიშნა, რომ ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა სკოლის დირექციას მიაწოდონ მათი იდეები, რომლებიც ყოველთვის მხარდაჭერილია და წახალისებული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემადგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეთა თვითმართველობა გამორჩეულად აქტიურია, იგეგმება და ხორციელდება მრავალი საინტერესო პროექტი. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პარტნიორთა კრება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა კრების ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს დებულება
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- ხელშეკრულება მშობელსა და სკოლას შორის
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირებისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო. თუმცა, **დაწესებულებას არ აქვს შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი (კორექტირებული წესი შეთანხმების მოთხოვნით გაიგზავნა შუამდგომლობის წერილით რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2025 წლის 18 ივლისს).** შენობის ყველა სართულზე, საევაკუაციო გეგმის შესაბამისად, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები. სკოლა წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს ადმინისტრაციის, დარაჯის, სართულების მორიგეების, დისციპლინური კომიტეტისა და საგანგებო და ხანძარსაწინააღმდეგო

სიტუაციებისთვის შექმნილი შტაბის მეშვეობით. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და ფსიქოლოგიურ თრობაზე პასუხისმგებელი პირი; უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი; 2024 წლის 23 ივლისს სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „სეიფთი ქორფ "-თან, რომელიც განახორციელებს შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვასა და მონიტორინგს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის დანერგვასა და მონიტორინგს. სკოლას აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებული აქვს შესაბამისი ბრძანებით. განსაზღვრული ჰყავს ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ტერიტორია სრულად შემოღობილია.

სკოლის მცირე სპორტულ დარბაზში არსებულ ფანჯრებზე, მოსწავლეების უსაფრთხოების კუთხით, მნიშვნელოვანია განთავსდეს გისოსები ან რაიმე შემაბრკოლებელი მექანიზმი. ასევე, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კაბინეტის ერთი ფანჯარა და მეორე სართულის ფოიეს ორი ფანჯარა, რომელიც ესაზღვრება გარე გადმოხურულ სივრცეს, ქმნის გარკვეულ საფრთხეს მოსწავლეების უსაფრთხოების კუთხით. მნიშვნელოვანია, აღნიშნულ ფანჯარაზე განთავსდეს გისოსები ან რაიმე შემაბრკოლებელი მექანიზმი. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას არ აქვს გამწოვი კარადა, ლაბორატორიაში არ არის ასევე ცეცხლგამძლე მასალით დამზადებული სადემონსტრაციო მაგიდა, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსართხოებას.

შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენი მიზნით, სკოლამ მიმართა შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფთხოების მართვის ცენტრს(112) წერილით, რის საფუძველზეც სკოლამ 19.09.2024 წელს მიიღო სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N 431. აქტის საფუძველზე, „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის № 370 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად - ობიექტის თანამშრომლებს არ აქვთ გავლილი სწავლება სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით (სპეციალურ ჟურნალში დარეგისტრირებით); ობიექტზე არ არის დანიშნული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი;

ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, აღდგენილი იქნას შენობის სართულებიდან არსებული (გაუქმებული/ამოშენებული) საევაკუაციო გასასვლელები; ელექტროდანადგარების მოწყობის წესების შესაბამისად, შენობის დერეფნებში არსებული ელექტროგამანაწილებელი კოლოფები ჩასასმელია დამცავ ხუფებში. შენობაში დასამონტაჟებელია ზონალური ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია მიმღებ-მაკონტროლებელი მართვის პანელით. ხანძრის აღმომჩენი დეტექტორები უნდა იყოს ყველა სათავსში/ოთახში სველი წერტილების გარდა. სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტი/პანელი უნდა განთავსდეს სათავსში/ადგილზე, სადაც მიმდინარეობს ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა და გამოკრული იქნება ინსტრუქცია ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების და მორიგეს მოქმედების წესის შესახებ. აღნიშნული სათავსო აღიჭურვოს სატელეფონო ან/და ხმამაღლა მოლაპარაკე კავშირის მოწყობილობით და არანაკლებ 3 (სამი) გამართული ელექტროფარნით. ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, შენობაში დასამონტაჟებელია ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა. შენობის საევაკუაციო გზებზე და გასასვლელებში მოსაწყობია საევაკუაციო გზის და გასასვლელების მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. შენობის საევაკუაციო გზებზე (დერეფნები, კიბის უჯრედები) მოსაწყობია ავარიული განათება. შენობის საევაკუაციო გზებზე გამოკრული ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმები, შესაცვლელია და მოსაყვანია სახანძრო უსაფრთოხების მოთხოვნების შესაბამისობაში. ობიექტზე მოწყობილია შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემა. სახანძრო ონკანები დაკომპლექტებულია სახანძრო სახელოებითა და ლულებით. შემოწმების პროცესში სახანძრო ონკანში არ შეიქმნა საკმარის წყლის წნევა, რაც არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. ტექნიკური რეგულირების მოთხოვნების შესაბამისად, შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწყობია სახანძრო ჰიდრანტი; **სკოლას მიეცეს რჩევა, გონივრულ ვადებში (ვინაიდან, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტში N431 აქტში არ არის მითითებული ვადები) უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.**

შენობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ 2024 წლის 23 ივლისს სკოლამ მიმართა სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს, რის თაობაზეც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, 2024 წლის 28 ოქტომბერს სკოლამ მიიღო სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა (N 5006485624). დასკვნაში აღნიშნულია, რომ: ქალაქ რუსთავში, მე-7 მ/რ-ში მდებარე „ინოვაციების სკოლა“-ს შენობის (საკ.კოდი 02.03.04.474) ტექნიკური მდგომარეობა მთლიანობაში დამაკმაყოფილებელია. რაიმე სახის მნიშვნელოვანი დაზიანებები ან

დეფორმაციები შენობის მზიდ კონსტრუქციებზე და გადახურვის ფილებზე არ დაფიქსირებულა. კვლევით ნაწილში აღწერილი დაზიანებები ლოკალური ხასიათისაა და საფრთხეს არ უქმნის შენობის მდგრადობას და ვარგისია ექსპლუატაციისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ შენობის კედლების ნაწილის კონსტრუქცია არ შეესაბამება ქვეყანაში მოქმედი სეისმური ნორმების მოთხოვნებს, რისი გამოსწორების ღონისძიებებიც უნდა დაისახოს შერჩევითი კაპიტალური რემონტის დროს. ამასთან ერთად, სკოლის შენობის შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭიროა შენობის პერიმეტრზე, უკანა და ტორსული გვერდის მხრიდან მოეწყოს სარინელი, რათა გამოირიცხოს ზედაპირული წყლების ჩადინება სარდაფში, საძირკველსა და ფუძეში.

როგორც უკვე აღინიშნა, 2024 წლის 23 ივლისს შპს „სეიფთი ქორფ "-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ორგანიზაციას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1.ინდიკატორთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებად მიუთითა:**

- **უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან 2026 წლის 01 აგვისტომდე.**
- **დაწესებულებამ უზრუნველყო დამცავი ბადეების დემონტაჟი სპორტული დარბაზის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის და მეორე სართულის გარკვეულ ფანჯრებზე, რაც დადასტურდა სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალით;**
- **სკოლამ უზრუნველყო ლაბორატორიაში შესაბამისი ცეცხლგამძლე მაგიდის შეტანა და გამოწოვის მონტაჟი, რაც დადასტურდა შესაბამისი ფოტომასალის განხილვის საფუძველზე.**

  ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში არის 41/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. ვიზიტის **პერიოდში სკოლას არ ჰყავდა ექიმი (ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავთ სკოლის ექთანი). შესყიდული არ აქვთ მედიკამენტები (რადგან არ ჰყავთ კარდი), საჭიროების შემთხვევაში იძახებენ სასწრაფო დახმარებას. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.2. ინდიკატორთან დაკავშირებით. დაწესებულებამ უზრუნველყო კონკურსის წესით ექიმის**

დასაქმება და მტკიცებულებად წარმოადგინა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინიტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი, შემოსასვლელში ხდება უცხო პირთა რეგისტრაცია, ასევე, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ზედაპირულ დათვალიერებზე პასუხისმგებელი პირი, ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და ფსიქოტროპულ ნივთიერებების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ფუნქციონორებს მასწავლებელთა მორიგეობა, 2024 წლის 23 ივლისს სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „სეიფთი ქორფ “-თან, რომელიც ახორციელებს შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვასა და მონიტორინგს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის დანერგვასა და მონიტორინგს. ასევე, სკოლის როგორც გარე, ასევე შიდა პერიმეტრზე განთავსებულია ვიდეო კამერები (სულ 24 ერთეული) , რომლებიც ახდენენ ჩაწერას, ინფორმაცია სერვერზე ინახება ერთი თვის განმავლობაში. ვიდეოკამერების მეშვეობით ხდება სკოლის სრული პერიმეტრის (როგორც გარე, ასევე შიდა) დაფარვა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**.

ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში იგრძნობოდა კეთილგანწყობილი და პოზიტიური შეხვედრა, საკლასო ოთახებსა და დერეფნებში გამოფენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც თავისთვად ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაში გარკვეულ როლს თანამშობს. გარდა ამისა, სკოლის ინფრასტრუქტურა (სამასწავლებლო, სამუშაო სივრცეები, საკლასო

ოთახები) და სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლას საშტატო განრიგით გათვალისწინებული აქვს ფსიქოლოგის შტატი, ასევე, 2023 წლის 11 სექტემბრის N 2/37 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ შპს „ინოვაციების“ ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმები“, რომლის მიზანია: მოსწავლეების აკადემიური, პიროვნული, სოციო-ემოციური და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა. ჯანსაღი, გაწონასწორებული, უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა სკოლაში. მასწავლებელთა კონსულტირება სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების პრევენციისა და გადაჭრის მიზნით. მშობელთა კონსულტირება სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების პრევენციისა და გადაჭრის მიზნით. ასაკობრივი სულიერი და სოციალური პრობლემების მართვა, მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობის ხელშეწყობა ბავშვის სტრესებისა და პრობლემების მართვაში. პირადი თუ ჯგუფური გაუცხოების მართვა და კონფლიქტების თავიდან აცილება. სკოლას აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს ფსიქოლოგის დახმარებით მოსწავლეების აკადემიური, პიროვნული, სოციო ემოციური და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა. მასწავლებელთა კონსულტირება სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების პრევენციისა და გადაჭრის მიზნით, მშობელთა კონსულტირება სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების პრევენციისა და გადაჭრის მიზნით, ასაკობრივი სულიერი და სოციალური პრობლემების მართვა, მშობლისა და მასწავლებლის თანამშრომლობის ხელშეწყობა ბავშვის სტრესებისა და პრობლემების მართვაში, პირადი თუ ჯგუფური გაუცხოების მართვა და კონფლიქტების თავიდან აცილება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სანიტარული ნორმების დაცვის თვალისაზრისით, სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები. ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

2024 წლის 23 ივლისს სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „სეიფთი ქორფ "-თან, რომელიც ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემის დანერგვასა და მონიტორინგს. მომსახურების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებია: პირველადი აუდიტი და პერიოდული მონიტორინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიმდინარე ტექნიკური და ადმინისტრაციული პროცესების ანალიზის საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება, რომელიც მოიცავს ინციდენტის მართვის სტრატეგიას და პირდაპირი მარკეტინგის პოლიტიკას/სტრატეგიას (საჭიროების შემთხვევაში), და მისი პერიოდული განახლება, ვიდეომონიტორინგის და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესის თაობაზე კონსულტაციის გაწევა და შესაბამისი მითითებების გაცემა (საჭიროების შემთხვევაში), მონიტორინგის თაობაზე შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის (პოლიტიკის) შემუშავება/განახლება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მონიტორინგის მოცულობას და მიზანს, მონიტორინგის ხანგრძლივობას, ჩანაწერის შენახვის ვადას, ჩანაწერზე წვდომას, შენახვისა და განადგურების წესს და პირობებს, პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმებს. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის კანონით გარანტირებული უფლებების რეალიზების მიზნით, ინფორმაციის შემუშავება და ინფორმაციის მიწოდება ფორმების განსაზღვრა და შესაბამისი პროცედურების დადგენა, პერსონალურ მონაცემებთან შემხებლობაში მყოფი დასაქმებულებისთვის სწავლების ჩატარება, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის მომზადება/კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად პერიოდული განახლება, პერსონალური მონაცემების გამოთხოვის, მიმართვის და ინფორმაციის მიწოდების შესახებ განცხადების ფორმის მომზადება, ზედამხედველ ორგანოსთან კომუნიკაციაში ჩართულობა, დამკვეთის ინტერესების შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

დაწესებულება უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. მოსწავლეთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე. მოსწავლეთა და პერსონალის ყველა დოკუმენტი ინახება კანცელარიაში და მასზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის პირადი ინფორმაციის დაცვას. მონაცემის გაცემა ხდება ოფიციალური მომართვის საფუძველზე. მოსწავლეების პირადი საქმე იწარმოება მატერიალურად. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი. ელექტრონულ ჟურნალში მასწავლებლებს წვდომა აქვთ მხოლოდ თავიანთი მოსწავლეებზე, ხოლო დამრიგებლებს მხოლოდ თავისი კლასის მონაცემებზე. ამასთან, შეფასებების შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ ინდივიდუალურად ელ. ჟურნალისა და პირადი შეხვედრების საშუალებით. სკოლის კომპიუტერს, რომელშიც ინახება ინფორმაცია, აქვს შესაბამისი დაშვების კოდი, რომელიც არ არის ცნობილი სხვა პირებისთვის, გარდა საქმისმწარმოებლისა, ხოლო მატერიალური დოკუმენტაცია ინახება დირექტორთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

შეფასებისთვის სკოლა იყენებს გამოკითხვის ფორმებს GOOGLE FORMS კითხვარების მეშვეობით, რომელიც სკოლამ უკვე შეიმუშავა და ახორციელებს პერიოდულად. კითხვებით კონკრეტდება სასწავლო პროცესის, სასკოლო გარემოს, უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესების გზები, სურვილები და ინიციატივები, რასაც სკოლა იყენებს შემდგომი სამოქმედო გეგმის შედგენისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სახანძრო უსაფრთხოებს ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი #431, 19.09.2024

• ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა # 5006485624; 28.10.2024
• ბრძანება N23 შპს „ინოვაციების სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“;
• 2024 წლის 23 ივლისის წერილი სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროსადმი, გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.
• ბრძანება N 2/5 შპს „ინოვაციების სკოლის“ საგანგებო მართვის გეგმა;
• წერილი-თანხმობა საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცებაზე;
• მიმართა შსს სსიპ საზოგადოებრივი უსაფთხოების მართვის ცენტრს (112) წერილი;
• შპს „ ინოვაციების სკოლაში“ მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება N 2/45;
• პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ ბრძანება N 2/45 (01.06.2024);
• ბრძანება N 2/4 შპს ინოვაციების სკოლაში ალკოჰოლზე, ნარკოტიკსა და ფსიქოლოგიურ თრობაზე პასუხისმგებელო პირის განსაზღვრის შესახებ;
• ბრძანება N 2/37 შპს „ინოვაციების“ ფსიქოლოგიური მომსახურების მექანიზმების დამტკიცების შესახებ; • ბრძანება N 2/38 შპს „ინოვაციების სკოლის“ წესრიგის დაცვის მექანიზმების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
• ბრძანება N22 შპს ინოვაციების სკოლის სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ
• საევაკუაციო გეგმა;
• ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი;
• კითხვარები;
• მშობელთან გაფორებული ხელშეკრულებები;
• პერსონალის თანხმობის ფორმები;
• ადგილზე დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს "ინოვაციების სკოლა" მდებარეობს ქალაქ რუსთავში, მე-7 მ/რ-ში. საჯარო რეესტრის ამონაწერით (საკადასტრო კოდები: 02.03.04.474.01/505. და 02.03.04.475.) მიწის დაზუსტებული ფართია 2206.00 კვ.მ; ხოლო შენობა-ნაგებობის: შენობა N1 - განაშენიანების ფართით 1240,21 კვ.მ. I სართული - 73.35 კვ.მ, II სართული - 916,97 კვ.მ. 51 III სართული - 660.36 კვ.მ. სხვენი - 97.42 კვ.მ. შენობა არის 10 წლის ვადით (2032 წლამდე) იჯარით აღებული (2022 წლის 8 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულება) შპს ჩირაღდანისაგან. სასწავლო დაწესებულება განთავსებულია სამსართულიან შენობაში. სკოლაში არის 23 საკლასო ოთახი. პირველ სართულზე განთავსებულია შესასვლელი სივრცე, სადაც ასევე მდებარეობს ვიდეოსათვალთვალო კამერების სერვერის ოთახი. ფოიეში განთავსებულია მოსასვენებელი სივრცე. საკლასო ოთახები განთავსებულია მეორე და მესამე სართულზე. მეორე სართულზე არის 15 საკლასო ოთახი, ისტ - ის ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ადმინისტრაციის ოთახები, სამასწავლებლო. ორივე სართულზე განთავსებულია საპირფარეშოები, ხოლო მეორე სართულზე

ადაპტირებული საპირფარეშო. შენობის მესამე სართულზე განთავსებულია რვა საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, მცირე სპორტული დარბაზი, ექიმის ოთახი, ძირითადი და დამხმარე სივრცეები. ლაბორატორიას აქვს სველი წერტილი და სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი. რეაქტივები დაცულია კარადაში. სკოლა სარგებლობს ვირტუალური ლაბორატორიით. სკოლას არ აქვს გარე კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, მაგრამ ეზოში აქვს გამოყოფილი სივრცე, რომლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს სპორტული მოედნის მოსაწყობად. ვიზიტის პერიოდში, სკოლაში ირიცხებოდა 252 მოსწავლე. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით სკოლას აქვს მრავალი თვალსაჩინოება და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში: 31 კომპიუტერი და ნოუთბუქი, 10 პლანშეტი, 5 VR სათვალე, საბუნებისმეტყველო 52 ლაბორატორიის კომპლექტი, პრინტერები, მათ შორის 1 (ერთი) 3D პრინტერი, დაფები, სპორტული ინვენტარი და სხვა საჭირო რესურსი. სკოლას სარგებლობს ქ. რუსთავში მდებარე საცურაო აუზის მომსახურეობით შპს ,,თოლიასთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს ტრანსპორტირებასა და გამყოლს მოსწავლეებისათვის. მასწავლებლები მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებს, სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, მოწესრიგებულია სველი წერტილები. **მნიშვნელოვანია სპორტული სივრცეების არსებობაც. მესამე სართულზე გამოყოფილი მცირე სპორტული დარბაზი და სკოლის ეზოში გამოყოფილი სპორტული მოედნის ადგილი არ შეესაბამება სპორტული ღონისძიებების სრულყოფილად ჩატარების სტანდარტებს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.1. ინდიკატორთან დაკავშირებით. დაწესებულებამ უზრუნველყო გარე სპორტული მოედნის მოწყობა, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო, მიმდინარეობს კაფეტერიის განახლება). მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ცურვას, ბუნდოვანი რჩება სპორტული

აქტივობების ჩატარების საკითხი. სასკოლო კურიკულუმით სპორტის საათები განსაზღვრულია დაწყებით საფეხურზე 3 საათი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე ორი კვირეული საათი. სკოლის დირექციასთან გასაუბრების პროცესში, ბუნდოვანი დარჩა რამდენი კვირეული საათი ეთმობა ცურვას და რამდენი სპორტის გაკვეთილს სკოლის სივრცეში. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი სპორტის საათობრივი დატვირთვა არ შეესაბამებოდა მოსწავლეებისათვის რეალურად შეთავაზებული მეცადინეობების რაოდენობას - მოწოდებული ინფორმაცია და სპორტის მასწავლებლის კვირეული დატვირთვა იყო შეუსაბამო (დირექციის განმარტებით, კვირაში ორჯერ მოსწავლეებს აქვს ცურვის გაკვეთილები, მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ყველა მოსწავლე არ სარგებლობს ამ სერვისით). **შესაბამისად, საერთო სარგებლობის სპორტული სივრცეები, არ არის სათანადოდ მოწყობილი და ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.2. ინდიკატორთან დაკავშირებით. დაწესებულებამ უზრუნველყო გარე სპორტული მოედნის მოწყობა, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

შპს „ინოვაციების სკოლას“ შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. მათში აღწერილია ბიბლიოთეკის მუშაობის ამოცანები, მკითხველის უფლებები და მოვალეობები, ქცევის წესები, სამუშაო დრო, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვის წესი. წიგნები დანომრილი და აღწერილია, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერი. სკოლას აქვს ელ. კატალოგი. სკოლის დებულებით განსაზღვრულია სკოლის ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობას ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები ყველა კლასისა და საგნისთვის, **ძალზედ მწირია მხატვრული ლიტერატურა. სკოლის ბიბლიოთეკა არ გამოირჩევა დიდი რესურსით, არ არის საკმარისი სივრცე სამკითხველო დარბაზისთვის. დაწესებულებას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდა, ასევე, სამკითხველო სივრცის მოწყობა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

კიბის უჯრედებში მოწყობილია ე.წ. მექანიკური პანდუსი. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი გადაადგილებისთვის. მეორე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული საპირფარეშო. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა (ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა მატერიალური რესურსი) ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან. სკოლაში არსებობს საერთო სივრცეები, სადაც გაკვეთილების შემდეგ ხორციელდება სოციალური, კულტურული და შემეცნებითი აქტივობები. პედაგოგებთან ერთად ხორციელდება საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის აქტივობები. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები, რომლებიც აქტიურად ქმნიან სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება;
- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ინვენტარის ჩამონათვალი;

• ბიბლიოთეკის დებულება;
• სასკოლო სასწავლო გეგმა;
• რესურსების ჩამონათვალი;
• ვიზუალური დათვალიერება;
• სკოლის აზომვითი ნახაზი;
• ღონისძიებების და აქტივობების ჩამონათვალი და ბმულები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით . სკოლა სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის იყენებს შემდეგ მატერიალურ რესურს: 14 კომპიუტერი, 8 ლეპტოპი, 10 პლანშეტი, VR სათვალე- 5ცალი, რობოტი -MBOT-5 ცალი; ARDUINO ნაკრები; რესურსები რობოტების ასწყობად, 3 პრინტერი, 2 პროექტორი; სმარტ ტელევიზორი; 3D პრინტერი-1; სკოლის შენობა სრულად აღჭურვილია ინტერნეტით (wifi ქსელით). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისთვის. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, დგება გაკვეთილების ცხრილი და გარვეულწილად ეს არეგულირებს სარგებლობის წესს. ასევე, შპს ინოვაციების სკოლის დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის N2/28 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს ინოვაციების სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლის მე-6 მუხლი ითვალისწინებს ისტ ლაბორატორიისთ სარგებლობის წესს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• შპს ინოვაციების სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (დირექტორის 2023 წლის 05. სექტემბერი N 2/28 ბრძანება);

• სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
• ადგილზე ვიზუალური დათვალიერება;
• ღონისძიებების / პროექტების ჩამონათვალი;
• ინვენტარიზაცია/ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი;
• სკოლის სოციალური ქსელის გვერდი;
• ვებგვერდი;
• „შპს დომენებიჯი“ - ს შესყიდვის ინვოისი 230120-019

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

შპს „ინოვაციების სკოლის“ დირექტორის 2022 წლის 8 დეკემბრის N2 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ინოვაციების სკოლის“ საქმისწარმოების წესი. სკოლაში არსებობს: შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, მოსწავლეთა საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, სკოლის დირექტორის საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი.
შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვა, რეგისტრაცია და ნომრის მინიჭება ხდება სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად; სკოლაში შემოსული დოკუმენტის მიღებას, პირველად დამუშავებასა და რეგისტრაციას, ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, ასევე, მისი ფუნქციით განსაზღვრულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზაში (eschool.emis.ge) სხვდასხვა ოპერაციების განხორციელება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით; სკოლაში მოქმედი „თანამდებობრივი ინსტრუქციის„ დოკუმენტით და სკოლის დებულებით განსაზღვრულია საქმისმწარმოებლის სამუშაო აღწერილობა. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ

საქმისმწარმოებლის მუშაობას: შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას, განცხადებების მიღების ფორმას, ბრძანებების გამოცემისა და რეგისტრაციას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეების წარმოებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს ციფრული (ელ. კვალიფიციური) ხელმოწერით, იყენებს - ედუფეიჯის ელ. ჟურნალს, სკოლაში მობილობა და სასწავლო პროცესის წარმართვა ხორციელდება eSchool-ის საშუალებით. **ვიზიტის პერიოდში გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობს (eschool.emis.ge) ბაზაში მონაცემების შევსება. ასევე არ მიმდინარეობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში მუშაობა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.2.2. ინდიკატორთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებად მიუთითა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენება, 2025 წლის 30 სექტემბრამდე. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა eSchool-ის ბაზები, აღმოჩნდა, რომ არ არის შევსებული ყველა სავალდებულო ველი, ამავე სისტემაში ხდება მოსწავლის მობილობის, კლასის ცვლილების განხორციელება, ასევე სახელმძღვანელოების არჩევა-აღრიცხვა. მასწავლებელთა პროფილი შევსებულია. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.2.3. ინდიკატორთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობებად მიუთითა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემების სრულყოფილად ასახვა - 2025 წლის 30 სექტემბრამდე. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

შპს „ინოვაციების სკოლა“ დროულად ახდენს რეაგირებას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საგანმანათლებლო რსურსცენტრის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და სხვა უწყებების ინფორმაციის მოთხოვნაზე. სკოლის დირექტორი ანგარიშს აბარებს პაარტნირთა კრებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• შპს „ინოვაციების სკოლის“დირექტორის 2022 წლის 8 დეკემბრის N 2 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ინოვაციების სკოლის“ საქმისწარმოების წესი“
• სკოლის დებულება;
• სკოლის წესდება;
• ფუნქციების განაწილება;
• სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;
• რეგისტრაციის ჟურნალები;
• პირადი საქმეები;
• სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
• სკოლის პროფილი eschool-ის ბაზაში; • ელექტრონულ სისტემა - ედუფეიჯის ვიზუალური დათვალიერება;

• შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემის“ ხელშეკრულება სისტემის ლიცენზიის სარგებლობაში გადაცემის შესახებ N EDU-1923 207 Edupage-ის მომსახურებასთან დაკავშირებით;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   შპს „ინოვაციების სკოლის“ დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბერის ბრძანება N2/31-ით დამტკიცებულია “ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებასთან კომუნიკაციის სახეებს, ურთიერთობის ფორმებსა და პროცედურებს; სკოლას აქვს ვებგვერდი. ვებ-გვერდზე განსათავსებული ინფორმაცის შინაარსს, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის მართვის პროცედურას, სკოლიდან ოფიციალური ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირსა და ინფორმაციის გაცემის პირობებს განსაზღვრავს აღნიშნული წესი. სკოლა მშობელთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს სოციალური ქსელის მესენჯერ ჯგუფებსა და zoom-ის პლატფორმას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

   სკოლის ვებ-გვერდის/სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე ინფორმაციის განთავსების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი და IT სპეციალისტი; სკოლის პერსონალი ვალდებულია IT მენეჯერთან აქტიური თანამშრომლობით უზრუნველყოს სკოლის ვებ-გვერდის/სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდის

ინფორმაციული/შინაარსობრივი ნაწილის განახლება სკოლაში არსებული "საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის" მიხედვით; **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

   სკოლის წარმოადგენელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლა ანონიმურ გამოკითხვას ატარებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, შემდეგ აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შემდეგ სამომვალოდ იყნებს მათ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

   სკოლას აქვს მოქმედი ვებ. გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. ინფორმაცია არის ხელმისავწდომი და საჯარო. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს სკოლის შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას გვერდი, schoolofinnovations.ge, შეიცავს სკოლის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, საჩივრის განხილვის მექანიზმები. ვიზიტის პერიოდში სკოლის ვებ. გვერდი საჭიროებს განახლებას, ვებ გვერდზე არსებული ინფორმაცია რიგ შემთხვევებში იყო მოძველებული. გამოიკვეთა რიგი შეუსაბამობები, მაგალითად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ვებ. გვერდზე განთავსებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი განსხვავდებიან. თუმცა, ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ უზრუნველყო ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• თვითშეფასების კითხვარი

• სკოლის შინაგანაწესი;

• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

• ვებ.გვერდი - schoolofinnovations.ge

• https://skolebi.emis.ge

• GOOGLE FORMS კითხვარები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

   სკოლის მიერ წარმოდგგლი სამოქმედო გეგმა რელევანტურია და შეესაბამება სკოლის ფინანსურ რესურსებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

   სკოლაში ვიზიტისას დგინდება, რომ სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტისა და ფინანსური ანგარიშის დამტკიცება საერთო-პარტნიორთა კრების უფლებამოსილებაა. სკოლის დირექტორი და ბუღალტერი შეიმუშავებენ მომავალი წლის ბიუჯეტს, სადაც გათვალისწინებულია სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეულის საჭიროება, გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• სკოლის წესდება

• პარტნიორთა კრების ოქმი

• სკოლის“ წლიური ბიუჯეტის შედგენის წესი“
• წლიური ბიუჯეტი
• სკოლის დებულება
• ბუღალტრის ფუნქცია-მოვალეებები;
• ადგილზე ვიზიტის ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   დაწესებულებას შედგენილი აქვს შრომის შინაგანაწესი. იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან (მათ შორის, განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე). შინაგანაწესში წარმოდგენილია ის წესები და პირობები, რომელთა

გათვალისწინებით ხდება სკოლაში მოსწავლის უფლებების დაცვა. შპს ინოვაციების სკოლას შედგენილი აქვს შპს ინოვაციების სკოლის“ განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურები, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/33, 08 სექტემბერი, 2023წ. ასევე, შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი (დირექტორის ბრძანება N2/30, 07.09.2023წ.), რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა შორის არსებული კონფლიქტების მოგვარების გზებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

როგორც უკვე აღინიშნა, შრომის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე. ასევე, საუბრისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აცნობენ სიახლეებს მშობლებს ონლაინ შეხვედრების და მშობელთა კრებების საშუალებით. საჩივრის განხილვის წესიც, შემუშავებული დაწესებულების მიერ, ასევე, განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

შპს ინოვაციების სკოლას მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. ექსპერტები გაეცნენ მის შინაარს ვიზიტისას და დაადგინეს შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომის შინაგანაწესი;
- შპს ინოვაციების სკოლის“ განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურები, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N2/33, 08 სექტემბერი, 2023წ.
- მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი (დირექტორის ბრძანება N 2/30, 07.09.2023წ.).

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

   მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურები დაწესებულებას განთავსებული აქვს ვებ. გვერდზე. აღსანიშნავია, რომ ვიზიტამდე, გარკვეული უზუსტობა ფიქსირდებოდა მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებში. კერძოდ, წარმოსადგენ დოკუმენტაციაში მითითებული იყო მოსწავლის დაბადების მოწმობა (როგორც ცნობილია, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №675 ბრძანების საფუძველზე, პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის მიხედვით წარმოსადგენია მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). თუმცა, ვიზიტის მიმდინარეობისას ჩანაწერმა განიცადა კორექტირება და მოვიდა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. საფეხურის დაძლევის მექანიზმები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. **რაც შეეხება მობილობის, სტატუსის შეწყვეტის და შეჩერების მექანიზმებს, დაწესებულებას არ წარმოუდგენია. დაწესებულებამ არგუმენტირებული**

პოზიციის დროს წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რომელიც დათარითებულია 2023 წლით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდართით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მიუხედავად იმისა, რომ შპს ინოვაციების სკოლამ არ წარმოადგინა სრულყოფილი რეგულაციები მოსწავლის ჩარიცხვისა და მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების შესახებ, დაწესებულება იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის მექანიზმებს (აღნიშნული რეგულირდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04/ნ, 11.01.2017წ., ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგემილი რეგულაციების შესაბამისად) რაც დადასტურდა სკოლის დოკუმენტაციის განხილვით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, რომელიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. გარდა ამისა, სკოლის ვებ. გვერდიც ინფორმატიულია ამ მიმართულებით. კერძოდ, საფეხურების მიხედვით დეტალურად არის წარმოდგენილი ის აქტივობები, რომლებსაც დაწესებულება სთავაზობენ მოსწავლეებს.

მონაცემები შეიცავს სწავლების საფასურს და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ნუსხას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

როგორც სკოლის დირექტორთან საუბრისას გაირკვა, იგი პირადად არის ჩართული ინფორმაციის გავრცელების პროცედურებში სკოლის მიერ დაგეგმილი პროგრამების, აქტივობების თუ რესურსების შესახებ. ის ხშირად ხვდება დაინტერესებულ პირებს (მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს), მათ შორის, ონლაინ ფორმატით. დაწესებულების მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ გაზიარებულია სკოლის ვებ. გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები. სკოლის ვებ-გვერდის/სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე ინფორმაციის განთავსების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი და IT სპეციალისტი. სკოლის პერსონალი ვალდებულია IT მენეჯერთან აქტიური თანამშრომლობით უზრუნველყოს სკოლის ვებ-გვერდის/სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდის ინფორმაციული/შინაარსობრივი ნაწილის განახლება (საფუძველი: შპს „ინოვაციების სკოლის “ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ” სკოლის დირექტორის 08 სექტემბერი, 2023 წ. ბრძანება N 2/31) **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ. გვერდი;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შპს „ინოვაციების სკოლის “ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ” სკოლის დირექტორის 08 სექტემბერი, 2023 წ. ბრძანება N 2/31.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით N2/21, 04.09.2023წ. დამტკიცებული აქვს წესი შპს „ინოვაციების სკოლის“ მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის შესახებ, რომელიც წარმოადგენს პროცედურების ერთობლიობას. რეგულაციის მიზანია, სრულფასოვნად და ეფექტიანად მოხდეს ახალი მოსწავლის ინტეგრაცია სკოლის სოციალურ გარემოსთან, კულტურასა და ღირებულებებთან. სკოლის მშობლებმა ინტერვიუირებისას

აღნიშნეს, რომ მობილობის საფუძველზე სკოლაში გადმოსულ მოსწავლეებს დახვდათ მზრუნველი და საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ სკოლის მასწავლებლებს, განსაკუთრებით დამრიგებლებს. მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას - წესების გაცნობა, კლასელებთან დამეგობრება, ღონისძიებებსა თუ აქტივობებში ჩართვა, დახმარება ისეთ საკითხებში, რომლებიც მისთვის უცხოა ან რთულად შესასრულებელია, ინიციატივების წახალისება, დაწესებულება პირველივე დღიდან ზრუნავს იმაზე, რომ მოსწავლეებმა წარმატებით გაიარონ სკოლასთან ადაპტაციის პერიოდი - აცნობს მათ სკოლის ინფრასტრუქტურას და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა მოსწავლეს სთავაზობს აკადემიურ მხარდაჭერას, როდესაც თავს იჩენს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმიდან ირკვევა, პროცესის გაუმჯობესების მიზნით სკოლაში ხორციელდება რემედიაციული პროცესები. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 2024–2025 სასწავლო წელს შპს ინოვაციების სკოლის ყველა კლასში წელიწადში ორჯერ (დეკემბერსა და მაისში) დაიგეგმა დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ყველა საგანში და სწორედ შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმა დამატებითი მეცადინეობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

შპს ინოვაციების სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინფორმაციას სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდების შესახებ. ელექტრონული ჟურნალი საშუალებას აძლევს მშობელს თვალი ადევნოს მოსწავლეების ელექტრონულ აღრიცხვას და შეფასებას, გამოცდებისა და მოსწავლისთვის განკუთვნილი საშინაო დავალებების ჩანიშვნას, მოსწავლეების შეფასებისა და დასწრების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მიღებას. სკოლის დირექტორის ინფორმაციით, სწორედ დაწესებულების ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი, რომ მშობლები თვალყურს ადევნებენ თავიანთი შვილების შეფასებებს და სხვა საჭირო ინფორმაციას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შპს „ინოვაციების სკოლის“ მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი (დირექტორის ბრძანება N2/27, 05.09.2023წ.), რომლის მიზანს წარმოადგენს ზოგადი განათლების ფარგლებში სასკოლო ინტერესების გატარების პროცესში მოსწავლეთა ჩართვა, საერთაშორისო ასპარეზზე სკოლის პოპულარიზაცია, მოსწავლეთათვის საინტერესო თემების შეთავაზების ხელშეწყობა და ა.შ. ინტერვიუირების პროცესში, ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ აღნიშნულ თემაზე გასაუბრებოდნენ სკოლის მოსწავლეებს, მათ შორის, თვითმმართველობის წარმომადგენლებს. როგორც გაირკვა, სკოლის ადმინისტრაცია ხელს უწყობს მათი ინიციატივების მხარდაჭერას, თანადგომას უცხადებს საინტერესო და სასარგებლო წამოწყებებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ მშობელთა/მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული სკოლის მართვის სტრატეგიები დადებითად აისახება დაწესებულების

განვითარებაზე. როგორც ირკვევა, მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესის დონის დასადგენად, სკოლამ ჩაატარა გამოკითხვა და შედეგები გამოიყენა პროცესების განვითარებისთვის. ექსპერტებმა განიხილეს გამოკითხვის ინსტრუმენტი - კითხვარი. როგორც გაირკვა, მასში იყო შემდეგი შინაარსის კითხვები: როგორ შეაფასებდით კონკრეტული საგნის მასწალებელს? ექსპერტების აზრით, მშობლებისთვის განკუთვნილ კითხვარში პედაგოგის პირდაპირი შეფასების მოთხოვნა საჭიროებს განსხვავებულ მიდგომას. კითხვამ პირდაპირი ფორმულირებით შეიძლება გამოიწვიოს სუბიექტური, ემოციურ გამოცდილებაზე დაფუძნებული შეფასებები, რომლებიც ყოველთვის არ ასახავს პედაგოგის პროფესიულ კომპეტენციას ან სწავლების ხარისხს. ექსპერტებმა ვიზიტის დროს რჩევით მიმართეს დაწესებულებას - აკადემიური თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, კითხვების ფორმულირება ფოკუსირდეს სწავლების პროცესის კონკრეტულ ასპექტებზე (მაგ., კომუნიკაციის ხარისხი, მოსწავლეზე ორიენტირებულობა, თანამშრომლობა მშობლებთან), რათა მიღებული მონაცემები იყოს უფრო ობიექტური და სისტემური ანალიზისთვის გამოსადეგი. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს სანდოობას, იცავს პედაგოგების პროფესიულ რეპუტაციას და ამავე დროს, იძლევა საჭირო ინფორმაციას სკოლის მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად.

ანალოგიური კითხვით მიმართეს სკოლის წარმომადგენლებმა მოსწავლეებსაც - მოსწავლეთა მიერ პედაგოგის პირდაპირი შეფასება შეიცავს მაღალი სუბიექტურობისა და ემოციური გავლენის რისკს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსწავლეები არიან არასრულწლოვნები და მათი შეფასება შეიძლება ეფუძნებოდეს არა სწავლების ხარისხს, არამედ პირად ურთიერთობებს, სიმკაცრის დონეს ან შეფასების (ქულის) შედეგებს. ექსპერტების რჩევაა, რომ მოსწავლეები აფასებდნენ სწავლების პროცესის ელემენტებს: მაგალითად, ახსნის სიზუსტეს, სწავლების ტემპს, უკუკავშირის ხარისხს, კლასში უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნას. ამგვარი მეთოდი უზრუნველყოფს უფრო სანდო მონაცემებს, რომლებიც სასარგებლოა პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის და ამცირებს სუბიექტური მიკერძოების ზეგავლენას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებით N2/21, 04.09.2023წ. დამტკიცებული შპს „ინოვაციების სკოლის“ მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესი;
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შპს „ინოვაციების სკოლის“ მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი (დირექტორის ბრძანება N 2/27, 05.09.2023წ.);
- კითხვარები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

   შპს ინოვაციების სკოლის 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, რომლის მიზანია მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში, მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ, მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით. დაწესებულებამ წარმოადგინა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი ლტოლვილთა დანიის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობასთან (ლდს). მემორანდუმის საგანია სასკოლო საზოგადოებაში სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაცია და კომპეტენციების ზრდა, პროექტის ფარგლებში შექმნილი რესურსების გამოყენებით. ასევე, მემორანდუმი შპს პრაიმ სთადი-სა და შპს ინოვაციების სკოლას შორის, რომლის მიზანია შპს ინოვაციების სკოლის მოსწავლეებისთვის ცნობიერების ამაღლება მსოფლიოს ბაზარზე ყველაზე მოთხოვნადი და მზარდი პროფესიების შესახებ და მოსწავლეებისათვის საინტერესო მიმართულებით კომპეტენციიბის გაღრმავების შესაძლებლობების მიმოხილვა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

   როგორც უკვე აღინიშნა, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის პროგრამა, სადაც წარმოდგენილია საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების განრიგი. სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და კოლეჯთან, რომლის ფარგლებშიც X-XII კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პროფესიული კოლეჯების პროგრამებს. გარდა ამისა, კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით სადამრიგებლო საათის ჩატარებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

   სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. როგორც უკვე აღინიშნა, მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად, სკოლამ ჩაატარა კვლევები, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სასკოლო საზოგადოების აზრი სკოლისთვის მნიშვნელოვანია და განსაზღვრავს მისი ქმედებების შემდგომ ნაბიჯებს. კვლევებში მონაწილეობა ინტერვიუირებისას დაადასტურეს მშობლებმაც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს „ინოვაციების სკოლის“ 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- კითხვარები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

   სკოლაში ვიზიტის პერიოდში არ ირიცხებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. თუმცა, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების პროგრამა, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

   როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღინიშნეს, დაარსების დღიდან (2023 წლიდან) შპს ინოვაციების სკოლაში არ ჩარიცხულა არცერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. შესაბამისად, ექსპერტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას შეაფასონ ინდიკატორი 4.2.3.2. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ინოვაციების სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის** შემთხვევაში)

   შპს ,,ინოვაციების სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს: ტრანსპორტირებას - სკოლის ავტობუსი უზრუნველყოფს, რომ მოსწავლე დილის 09:00 საათზე უკვე იმყოფებოდეს სკოლაში. დასრულების შემდეგ, 16:15-ზე, მოსწავლეები ბრუნდებიან შინ. სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი. ასევე დაწესებულება თანამშრომლობს კომპანია შპს "დელფუდთან", რომელსაც გააჩნია ბავშვთა კვების სრული ლიცენზირება. გახანგრძლივებული სწავლება (I–V კლასებისთვის), სადაც მოსწავლეები ასრულებენ და ამზადებენ მომდევნო დღის დავალებებს, ესწრებიან დამატებით გაკვეთილებს ინგლისურში, მათემატიკასა და ტექნოლოგიებში. ექსპერტები გაეცნენ ხელშეკრულებას შპს ,,დელფუდთან“, ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისობის შეფასების აქტს № 1B22A03B761B2 და შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაცულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ხელშეკრულება სატრანსპორტო საშუალების მძღოლთან და სათანადო კატეგორიის მართვის მოწმობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლის მიერ დამატებითი მომსახურების შეთავაზება ხორციელდება მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების საფუძველზე, შეთავაზებული მომსახურების შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე. ტრანსპორტით უზრუნველყოფა, გახანგრძლივებული სწავლება და კვების სერვისით სარგებლობა არის ნებაყოფლობითი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის კვების ობიექტი შემოწმდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ (შესაბამისობის შეფასების აქტი № 1B22A03B761B2) და შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაცულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები. თუმცა, **დაწესებულებას არ წარმოუდგენია სატრანსპორტო საშუალების ტექდათვალიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა სატრანსპორტო საშუალების ტექდათვალიერების დოკუმენტი. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება შპს "დელფუდთან";

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისობის შეფასების აქტი № 1B22A03B761B2;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

წილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი: 08.09.2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: